პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ალინა კუპრავა - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

წევრები:

მზია ბაკურიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

თამარ ახალაძე - -პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 24-25 ივნისი 2019 წ

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: ა(ა)იპ

საიდენტიფიკაციო კოდი: 404409261

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ვიზიტის მიზანი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ბაღის დიზაინის“, „მებაღეობის“ და „ფლორისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

საფუძველი: სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 29 მაისის ბრძანება N440

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შედგა დღის წესრიგი.

ექსპერტებმა განახორციელა შემდეგი აქტივობები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება;

დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემოწმება;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის შემოწმება;

ვებ გვერდის შემოწმება;

პროგრამასთან დაკავშირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმება;

პროგრამასთან დაკავშირებული ადამიანური რესურსების შემოწმება;

პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრება;

პრაქტიკის ობიექტებში ვიზიტი და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება.

ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებასთან შეთანხმებით განხორციელდა დღის წესრიგის კორექტირება, კერძოდ 2019 წლის 25 ივნისს დილის საათებში განსახორციელებელი აქტივობა - ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე, განხორციელდა იმავე დღის მეორე ნახევარში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	☐
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 24-25 ივნისი 2019 წ

1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**		
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**		
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**		
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**		
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**		
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**		
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**		
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**		
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**		
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**		
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**		
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**		
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**		
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**		
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**		
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;			
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

აღნიშნული კოლეჯის კურსდამთავრებულები არიან პროფესიული განათლების მასწავლებლები შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე და მიღებულ ცოდნას/უნარებს უკვე უზიარებენ პროფესიულ სტუდენტებს.

სამების საკათედრო ტაძრის ეზო შეიძლება ჩაითვალოს, როგორც სწავლის შედეგი - მიღებული პროდუქტი, ასევე სასწავლო ბაზა სადაც მცენარეების მოვლის, სხვლა-ფორმირების, გამოკვების, წყლით უზრუნველყოფის თემებთან დაკავშირებული პრაქტიკული კომპონენტის გავლა იქნება შესაძლებელი.

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას ნამდვილად აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მატერიალური საგანმანათლებლო რესურსი და სასწავლო გარემო, ასევე იმის პოტენციალი რომ მისი კურსდამთავრებული იყოს კვალიფიციური და დასაქმებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

- არ გამოვლენილა;

VI. რეკომენდაციების შეჯამება

- დაწესებულებამ გაწეროს და დაამტკიცოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეული ადმინისტრაციული თანამდებობისათვის, რომელთან მიმართებაშიც მოხდება ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის შედარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. დაწესებულების მისია

მაღალკვალიფიციური, ეკოლოგიური ცნობიერების მქონე სპეციალისტების მომზადება, რომლებიც მომავალ საქმიანობაში ორგანულად შეუთავსებენ ერთმანეთს თეორიულ და პრაქტიკულ უნარებს და შრომის ბაზარზე გავლენ, როგორც მოთხოვნადი, მობილური და კონკურენტუნარიანი პროფესიონალები.
კოლეჯის მიზანია:

- მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის.
- კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება როგორც სწავლის გაგრძელების, ისე დასაქმების თვალსაზრისით.
- სტუდენტებში სამართლიანობის, პატიოსნებისა და ურთიერთპატივისცემის ღირებულებათა დანერგვა.
- სტუდენტების უფლებების, თავისუფლებებისა და საჭიროებების უზრუნველყოფა და მათი მუდმივი დაცვა.
- პარტნიორული თანამშრომლობის ოპტიმიზაცია სხვა ეროვნულ და უცხოურ სასწავლებლებთან.
- კოლეჯის მართვა სანიმუშო, ეთიკური, სამართლებრივი, გამჭვირვალე და ეფექტური მეთოდებით.
- სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული მართვის სისტემის მუდმივი შეფასება, მოდიფიცირება და გაუმჯობესება.
- კომფორტული, უსაფრთხო და სწავლებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.
- მუდმივი ზრუნვა თაობების სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს, კერძოდ, დირექტორის მიერ 2019 წლის 3 მაისის N 17 ბრძანებით. კოლეჯმა ჩარჩო დოკუმენტის „მებაღეობა“ საფუძველზე შეიმუშავა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები - ბაღის დიზაინი და მებაღეობა, ჩარჩო დოკუმენტის „ფლორისტიკა“ - საფუძველზე შეიმუშავა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფლორისტიკა. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და დამტკიცების პროცედურა, რომელიც დაცულია და ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების, ასევე სწავლების მიდგომის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დასაბუთების აუცილებლობას, პროცედურის დაცვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში ჩართული იყვნენ: ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, სპეციალისტები, სასწავლო დარგის მიმართულების ხელმძღვანელი და მოდულების განმახორციელებელი პირები, თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირველი გვერდი მოიცავს ინფორმაციას პროგრამის დამტკიცების შესახებ, დაწესებულების დასახელებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას, დაწესებულების საკონტაქტო და პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ ინფორმაციას; პროგრამაში მოცემულია შემდეგი სახის ინფორმაცია: ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა, ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, საკანონმდებლო ბაზა, დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, პროგრამის სტრუქტურა, კრედიტების რაოდენობა/სწავლების ხანგძლივობა(ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), მოდულების ჩამონათვალი, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის, და დანართები - სასწავლო გეგმა, განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი, მატერიალური რესურსი და პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული.

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (ბაღის დიზაინი, მებაღება, ფლორისტიკა), დადგინდა მოთხოვნებთან შესაბამისობა, გამოიკვეთა შემდეგი:

ფლორისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 53 კრედიტს, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 68 კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობაა: ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 34 კვირა, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 60 კვირა.

მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა : ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 85 კრედიტს; არაქართულენოვანი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტებისთვის - 115 კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობაა : ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 53 სასწავლო კვირა, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის -79 სასწავლო კვირა.

ბაღის დიზანის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის მოცულობაა: ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 85 კრედიტს, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 115 კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობაა: ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 56 სასწავლო კვირა, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 82 სასწავლო კვირა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამებისა და თანდართული მოდულების გადამოწმების შედეგად დაფიქსირდა უზუსტობები, კერძოდ: სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმებში არ იყო გაწერილი დამოუკიდებელი საათები , რაც შეუძლებელს ხდიდა პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა განსაზღვრულიყო, აღნიშნულის შესახებ ექსპერტთა მიერ განემარტა დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ მიერ გათვალისწინებული იქნა აღნიშნული შენიშვნები და ვიზიტის მსვლელობისას პროცედურის სრული დაცვით წარმოადგინეს შენიშვნის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტები - ჩასწორებული სასწავლო გეგმები (დირექტორის მიერ 2019 წლის 24 ივნისის N27 ბრძანებით ცვლილებებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები).

პრაქტიკის ობიექტების შესახებ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების წინ გაფორმებული აქვს უვადო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რაც უზრუნველყოფს სწავლების პრატიკული ნაწილის, ეფექტურად გავლას, დაძლევას შემდეგ ობიექტებზე:

- შპს ,,გარდენია" (ქ.თბილისი, ხუდადოვის ქ.; მემორანდუმის გაფორმების თარიღი: 15.04.2019);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- წმინდა სამების საკათედრო ტაძრის კომპლექსის პარკი (ქ.თბილისი, ქვემო ელიას დასახლება; მემორანდუმის გაფორმების თარიღი: 17.04.2019).

მემორანდუმებში მითითებულია კონკრეტული პროგრამები, რომლის ფარგლებშიც იქნება გამოყენებული მოცემული პრაქტიკის ობიექტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რეჟიმში პრაქტიკის ნაწილს პროფესიული სტუდენტები ადგილზევე განახორციელებენ. ეს უზრუნველყოფს უნარების შეუფერხებელ ტრანსფერს რეალურ საწარმოო გარემოში.

ვიზიტის დროს განხორციელდა ექსპერტთა მიერ პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და პრაქტიკის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით გაირკვა, თუ როგორ განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის ადგილზე შემდეგი ქმედებები: პროფესიული სტუდენტების დასწრების აღრიცხვა, პროფესიული სტუდენტების შეფასება და სხვა. გასაუბრებისას საწარმოს ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საწარმო მოახდენს სასწავლო პროცესის უზრუნველყოფას მატერიალური და ადამიანური რესურსით და პროფესიულ სტუდენტთა წვდომა/დაშვებას საწარმოს იმ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან (ან საშუალებებთან), რომლის გამოყენებაც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირის განმსაზღვრელი დოკუმენტით - დებულებით;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და დამტკიცების პროცედურით;
- დირექტორის მიერ 2019 წლის 3 მაისის N 17 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დირექტორის 2019 წლის 01 მარტის N 14 ბრძანება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში მონაწილე პირების განსაზღვრის შესახებ.
- დირექტორის მიერ 2019 წლის 24 ივნისის N27 ბრძანებით ცვლილებებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ჩარჩო დოკუმენტებით;
- მემორანდუმებით;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), განთავსებულია ოფიციალურ ვებ-გვერდზე: http://www.dmsk.ge/catalog.php მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კოლეჯის შესახებ (მისია,მიზნები), პროგრამებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციების ჩამონათვალი, სწავლების მეთოდოლოგია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი, პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების წესი, საკონტაქტო ინფორმაცია; კატალოგი ასევე მოიცავს ინფორმაციას მებაღობის, ბაღის დიზაინის და ფლორისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დაანონსების შესახებ.

კატალოგი განახლებულია 2019 წელს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგით;
- ვებ გვერდით: http://www.dmsk.ge/catalog.php.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულების დირექტორს ბრძანებით დამტკიცებული ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, კერძოდ: ფლორისტიკის, ბაღის დიზაინის, მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის მიერ 2019 წლის 3 მაისის N 17 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- დირექტორის მიერ 2019 წლის 24 ივნისის N27 ბრძანებით ცვლილებებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ჩარჩო დოკუმენტებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები, რომლის ჩანაწერების შესაბამისად კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადება ხორციელდება დირექტორის ბრძანებით, რომელშიც განისაზღვრება დოკუმენტების ჩამონათვალი და მიღების ვადა. ბრძანება თავსდება დაწესებულების ვებ-გვერდზე. სწავლის მსურველთა დოკუმენტების განხილვას და დაშვების წინაპირობებთან შესაბამისობის დადგენას ახორციელებს დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახური, რომელიც მოხსენებითი ბარათით შესაბამის ინფორმაციას აწვდის დირექტორს, ინფორმაციის მიწოდებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში გამოიცემა დირექტორის ბრძანება კოლეჯში პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ.

კოლეჯის დირექტორის 2011 წლის 22 ნოემბრის ბრძანება # 15 დამტკიცებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერება-შეწყვეტისა და მობილობის წესის ჩანაწერების შესაბამისად: **პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:**

ა) აკადემიური შვებულება;
ბ) ავადმყოფობა;
გ) ხელშეკრულების დარღვევა;
დ) კოლეჯის შინაგანაწესის დარღვევა;
ე) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია

ა) პირადი განცხადება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;

გ) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა და შეურაცხყოფა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ;

ი) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებებით;

დ) გარდაცვალება.

ზ/აღნიშნული წესის მესამე მუხლის 3.2. პუნქტი მოიცავდა ჩანაწერს, რომლის თანახმადაც: სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგებოდა ბრძანების ხელმოწერიდან, დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლებოდა შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილი იყო ესარგებლა მობილობის უფლებით. ამ ჩანაწერის დასაზუსტებლად, თუ რამდენი დრო იყო განსაზღვრული ბრძანების პროექტის გამოცემიდან დირექტორის მხრიდან მის ხელმოწერამდე და ამ ინტერვალში პროფესიული სტუდენტის ინფორმირება რა გზებით ხორციელდებოდა, გასაუბრება მოხდა კოლეჯის იურისტთან, რომელმაც განმარტა, რომ ჩანაწერში იყო ტექნიკური უზუსტობა, შესაბამისად რეგულაციიდან აღნიშნული ჩანაწერი ამოღებულ იქნა დირექტორის ბრძანებით.

მობილობის უფლება აქვს სტუდენტს, თუ: ა) არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი: ბ) თუ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში განვლილი საგანმანათლებლო პროგრამა ან პროგრამის ნაწილი თავსებადია ერთმანეთთან. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული განათლების მხოლოდ ერთი საფეხურის ფარგლებში. დაუშვებელია პროფესიული განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის პროგრამაზე მობილობის განხორციელება. სტუდენტს პირადი განცხადების საფუძველზე აქვს უფლება სწავლა გააგრძელოს სხვა სასწავლებელში დადგენილი წესის შესაბამისად. მობილობის განსახორციელებლად საჭიროა ორივე სასწავლებლის თანხმობა და პროფესიული პროგრამების თავსებადობა. დადებითი პასუხის შემთხვევაში მიმღები საგანმანათლებლო დაწესებულება გამოითხოვს საგანმანათლებლო დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც იგი ჩაირიცხა სასწავლებელში და სტუდენტის პირად საქმეში არსებულ სხვა დოკუმენტაციას. შესაბამისი კომისია დაადგენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამულ თავსებადობას, რის შემდეგაც გასცემს დასკვნას მისი დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლების მოპოვების შესახებ.

ფორმალური და არაფორმალური განათლების აღარებას ახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ცოდნის /უნარების შემოწმებას და საჭიროების შემთხვევაში გამოცდის ჩატარებას.

ვიზიტის მიმდინარეობისას გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი, პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაციები შეტანილია დადგენილი წესის დაცვით, დაფიქსირდა ტექნიკური უზუსტობები(არასწორად არის მითითებული 2 პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანება და თარიღები), დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ განათლების საინფორმაციო სისტემასთან განხორციელებული ოფიციალური მიმოწორები, სადაც ითხოვენ აღნიშნული უზუსტობების აღმოფხვრაში დახმარებას, ვინაიდან კოლეჯს არ აქვს შესაძლებლობა/წვდომა შესაბამისი ინფორმაციის ჩასწორების.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2011 წლის 22 ნოემბრის ბრძანება N15 დამტკიცებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერება-შეწყვეტისა და მობილობის წესით
- კოლეჯის დირექტორის 2011 წლის 24 ნოემბრის ბრძანება N 24 დამტკიცებული მიღებული განათლების აღიარების წესით;
- კოლეჯის დირექტორის 2011 წლის 21 ნოემბრის ბრძანება N10 დამტკიცებული არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებით და წესით.
- დირექტორის 2019 წლის 20 ივნისის ბრძანება N 26 დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 15 ნოემბრის N 26 დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებს უზრუნველყოფის წესი, რომლის ჩანაწერების მიხედვით: პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლების მიღების შესაძლებლობას, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გადავიდეს ამავე კოლეჯის მსგავსი მიმართულების პროგრამაზე და სწავლა განაგრძოს შეცვლილი პროგრამით, თუ პროფესიულ სტუდენტს სურვილი აქვს სწავლა განაგრძოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში კოლეჯი ხელს შეუწყობს მობილობის პროცესს, კოლეჯს მებაღეობის პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული აქვს მობილობის მემორანდუმი სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯთან (გაფორმების თარიღი: 2019 წლის 13 მაისი), რომლის ჩანაწერებით ირკვევა, რომ პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტების მობილობა განხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და მემორანდუმის მხარეების მიერ შემუშავებული/დადგენილი წესების დაცვით, ხოლო ბაღის დიზაინის და ფლორისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან/და გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლების მიღების შესაძლებლობას: შესთავაზებს ამავე კოლეჯის მსგავსი მიმართულების პროგრამაზე სწავლის გაგრძელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2016 წლის 15 ნოემბრის N 26 დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებს უზრუნველყოფის წესით;
- გაფორმებული მობილობის მემორანდუმი სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯთან;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია მიმდინარე სასწავლო პროცესისა და კოლეჯის პროფესიული განვითარებაზე. ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად შეიმუშავებს ხარისხის მართვის დოკუმენტის პროექტს პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებების ან/და ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ. ახორციელებს შეხვედრებს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვისა და სტუდენტთა მიერ უკეთესი შედეგების მიღწევის მეთოდურ საკითხებზე.

დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავებულია კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასების, პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებლის/საწარმოო პრაქტიკის პარტნიორის გამოკითხვის კითხვარები. პერიოდულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხორციელდება კითხვარების შევსება, რომელსაც მონიტორიგს უწევს შიდა მხარდაჭრის ჯგუფი და აანალიზებს შედეგების გამოყენების მიზნით.

დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა წარმოადგინა პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების სისტემის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია და კითხვარების ანალიზები.

დაწესებულების შიდა მხარდაჭერის ანალიზის დოკუმენტის შემოწმებით და მონიტორინგის ჯგუფთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ შევსებული კითხვარების გაანალიზების შედეგად ხორციელდება ძლიერი მხარეების დადგენა, გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და განვითარებისათვის კონკრეტული ქმედებების დაგეგმვა - შემუშავებული სწავლების ხარისხის შეფასების ციკლის ეტაპების (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე) დაცვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დებულებით (დამტკიცებული დირექტორის მიერ ბრძანებით N11 ; 26.02.2019);
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და დამტკიცების პროცედურით(დამტკიცებული დირექტორის მიერ ბრძანებით N11 ; 26.02.2019);
- შევსებული კითხვარებით;
- ხარისხის მართვის სამსახურის ანგარიშითა და ანალიზის დოკუმენტებით;
- ადმინისტრაციასთან და ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან გასაუბრებით;
- ვებ გვერდით dmsk.college@gmail.com

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ქვემო ელიას დასახლება, სამების ტაძრის სამონასტრო კომპლექსი , სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენება აღნიშნულ მისამართზე მდებარე შენობების ფართი, დაწესებულების საერთო ფართი 106 820.00კვ.მ , აქედან შენობა-ნაგებობების ფართობი 716.93 კვ.მ, ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, სასწავლო აუდიტორიებში (ა,ბ,ც) განთავსებულია მოდულის ჩანაწერების შესაბამისი რესურსი.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისი, ქვემო ელიას დასახლება, სამების ტაძრის სამონასტრო კომპლექსი	716.93(შენობა ნაგებობის ფართობი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო რეესტრის ამონაწერით საკადასტრო კოდი [redacted]
- სამეწარმეო რეესტრის ამონაწერით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებით.

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების საკუთრებაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„მებაღეობა“**

A1 - სასწავლო გარემო - ფართი 45.71 კვ.მ პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 30;

B სასწავლო გარემო - ფართი 30,98 კვ.მ. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა -15;

თეორიული მეცადინეობისათვის გამოყოფილია 1-ლი და მე-2 აუდიტორიები, რომლებიც პროგრამის ფარგლებში დატვირთულია 60%-ით. პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაციული წიგნიერება ტარდება მე-4 აუდიტორიაში, რომლის გამტარიანობა კვირაში არ აღემატება 40 სთ.

C - სასწავლო გარემო - ფართი - სასწავლო მიწის ნაკვეთი - 106 820.00 კვ.მ პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 60;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბაღის დიზაინი“

A სასწავლო გარემო - ფართი - 43,98 კვ.მ. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 20;

B სასწავლო გარემო - ფართი 30, 98 კვ.მ. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა -15;

თეორიული მეცადინეობისათვის გამოყოფილია მე-3 აუდიტორია, რომელიც პროგრამის ფარგლებში დატვირთულია 80%-ით. პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაციული წიგნიერება ტარდება მე-4 აუდიტორიაში, რომლის გამტარიანობა კვირაში არ აღემატება 40 სთ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფლორისტიკა“

A2 - სასწავლო გარემო 47,64 კვ.მ პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 30;

C სასწავლო გარემო - ფართი - 48,89 კვ.მ. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა -20;

B სასწავლო გარემო - ფართი 30,98 კვ.მ. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა -15;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის ადმინისტრაციას, ხარისხის სამსახურს და პროგრამის ხელმძღვანელს აქვთ ხედვა სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით.

სასწავლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის კოლეჯს აქვს საკუთარი მიწის ნაკვეთი, სადაც შეუძლიათ განახორციელონ პროგრამების პრაქტიკული ნაწილი (C გარემო), კოლეჯის ეზოში განთავსებულია მცირე სანერგე მეურნეობა, სადაც ხდება მცენარეთა გამრავლება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, ასევე სამუშაო იარაღებისა და ინვენტარის საწყობები შესაფერის პირობებში შენახვის მიზნით. გამოყოფილია შესაბამისი ფართები სათესლე მასალის, მცენარეთა სუბსტრატის, სასუქების და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების შესანახად.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ინვენტარი და აღჭურვილობა სრულ თანხვედრაშია წარმოდგენილი სასწავლო პროგრამაში გაწერილთან და აბსოლიტურ თანხვედრაშია მისაღწევი სწავლის შედეგების საჭიროებებთან. შეიძლება ითქვას, რომ კოლეჯს მასალა, ინვენტარი და აღჭურვილობა აქვს იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ეს საჭიროა.

კოლეჯის სტუდენტების პრაქტიკული პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილია აუთვისებელი სივრცეები სამების საკათედრო ტაძრის და თვითონ კოლეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე. სადაც სტუდენტებს და პროფესიულ მასწავლებლებს ეძლევათ საშუალება განახორციელონ სასწავლო კომპონენტის პრაქტიკული ნაწილი.

კოლეჯის საქმიანობის შედეგის დამადასტურებლად შეიძლება ჩაითვალოს სამების საკათედრო ტაძრის ეზოში განთავსებული მრავალფეროვანი მცენარეთა (და მათ შორის ისეთი მცენარეების, რომელიც საქართველოში სხვაგან არსად არის) სახეობები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- დირექტორის 2019 წლის ბრძანება N 25 ბრძაებით დამტკიცებული ინვენტარიზაციის ოქმით და კომპიუტერების გადანაწილებით.
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში შექმნილია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდება ხორციელდება უწყვეტად, აუდიტორიები ნათდება ბუნებრივად, ფუნქციონირებს გათბობის საშუალებები, სველი წერტილები აკმაყოფილებს სანიტარულ ნორმებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კომუნალურების გადახდის ქვითრებით;
- ქონების ფლობის დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის ბიბლიოთეკას აქვს როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული კატალოგი, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის 2011 წლის 21 ნოემბრის N 4 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ბიბლიოთეკის ამოცანების, ფუნქციების და ბიბლიოთეკის პერსონალის უფლება-მოვალეობის შესახებ, დირექტორის 2011 წლის 22 ნოემბრის N 5 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლითეკით სარგებლობის წესი, რომელშიც გაწერილია ბიბლიოთეკის მუშაობის გრაფიკი, მკითხველთა უფლება-მოვალეობანი და ბიბლიოთეკის წიგებთან მოპყრობის წესები. ბიბლიოთეკის ოთახში განთავსებულია ერთი ლეპტოპი და 1ც პრინტერი , ბიბლიოთეკის ოთახშივეა გამოყოფილი სამკითხველო კუთხე 6 პირისათვის. ბიბლიოთეკაში გახსნილია მკითხველთა მომსახურის ჟურნალი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: წიგნის მოთხოვნის თარიღი, წიგნის შიფრი, ავტორი, სათაური, მკითხველის ხელმოწერა დაბურენისას და შენიშვნა. ასევე წარმოდგენილია მკითხველის ფორმულარი, რომელიც ისვებს წიგნის გატანის დროს.

ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში/მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

გასაუბრება განხორციელდა კოლეჯის ბიბლიოთეკართან, კოლეჯი საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით მუდმივ რეჟიმში ახორციელებს დარგის მიმართულებით უცხოენოვანი ლიტერატურის მოძიებას და თარგმნას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2011 წლის 21 ნოემბრის N 4 ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულებით;
- დირექტორის 2011 წლის 22 ნოემბრის N 5 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლითეკით სარგებლობის წესით;
- ბიბლიოთეკართან გაფორმებული ხელშეკრულებით,პირადი საქმით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. დაწესებულებას აქვს კომპიუტერული ტექნიკა სულ 26 ცალი, პროექტორი 1 ცალი, მონიტორი 4 ცალი, პრინტერი 5 ცალი, პერსონალზე გადანაწილებულია კომპიუტერი 6 ცალი, სხვა დანარჩენი 20 ცალი გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2019 წლის ბრძანება N 25 ბრძაებით დამტკიცებული ინვენტარიზაციის ოქმით და კომპიუტერების გადანაწილებით.
- მოძრავი ქონების ფლობის დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში დირექტორის 2011 წლის 21 ნოემბრის N 2 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად ხდება გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა,დაწესებულებას აქვს საკანცელარიო ჟურნალები, რომლებიც დანომრილია, აკინძულია და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დალუქულია საქმისწარმოების წესების მოთხოვნათა დაცვით, დაწესებულებაში წარმოებს გამოცემული აქტების, შემოსული და გასული კორესპონდენციის, ასევე ხელშეკრულებების აღრიცხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, შენობა სრულად აკმაყოფილებს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმებს, დაწესებულებას ასევე აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, შენობის თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და განთავსებულია ცეცხლმაქრები (დამუხტვის თარიღი 24.05.2019 წ);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო კუთხე, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი მედიკამენტებითა და აღჭურვილობით;

დირექტორის 2016 წლის 19 ნოემბრის N 28 ბრძანებით დამტკიცებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და პირველადი სამედიცინო დახმარების სქემები, ამავე ბრძანებით სტუდენტებისა და პერსონალის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა დაევალა კოლეჯის დირექტორის მოადგილეს, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის გამოცდილება.

დაწესებულებას ჰყავს სამეურნეო, ტექნიკური უზრუნველყოფის უფროსი, რომლებსაც ევალება დაწესებულებაში წესრიგის დაცვის კონტროლი, კოლეჯის პერიმეტრს ასევე ემსახურება საპატრიარქოს სპეციალური დაცვის სამსახური.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2016 წლის 19 ნოემბრის N 28 ბრძანებით დამტკიცებული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და პირველადი სამედიცინო დახმარების სქემებით;
- დასაქმებულთა პირადი საქმეებით,ბრძანებებით;
- ქონების ფლობის დოკუმენტაცით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო შენობა სადაც უნდა განხორციელდეს ზ/აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება ნაწილობრივ იყო უზრუნველყოფილი ადაპტირებული გარემოთი, შენობის ადაპტირებული სველი წერტილები ვერ უზრუნველყოფდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების თავისუფალ შეღწევას და გადაადგილებას, კერძოდ ადაპტირებული სველი წერტილების შიდა კარების სიგანი იყო ძალიან ვიწრო, რაც შეუძლებელს ხდიდა სსმ პირის თავისუფლად შეღწევას. ექსერტთა მხრიდან დაწესებულებას განემარტა აღნიშნული პრობლემის შესახებ, რაც დაწესებულებამ სრულად გაიზიარა და ვიზიტის პერიოდში პრობლემა აღმოფხვრა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ქონების ფლობის დოკუმენტაცით;
- ვიზუალური დათვალიერებით.
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებგვერდი http://www.dmsk.ge ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია დაწესებულების სტრუქტურა, მისია, პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, პერსონალი, პროფესიული მასწავლებლები, შინაგანაწესი, დებულება, ინფორმაცია პროექტების შესახებ, ბიბლიოთეკა (წიგნადი ფონდის შესახებ ინფორმაცია), გალერეა და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცულია იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი, ბოლო სიახლე განთავსებულია 2019 წლის 3 ივნისს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დომეინის და ჰოსტინგის ხელშეკრულებით;
- დაწესებულების ვებ-გვერდით: http://www.dmsk.ge
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დირექტორის 2016 წლის 16 აგვისტოს ბრძანება N17 დამტკიცებულია დაწესებულების 2016 -2022 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციებს: მისიის, სტრატეგიული მიზნების და ამოცანების, კოლეჯის სვოტ ანალიზის, ექვსი წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების, მიღწეული შედეგის მაჩვენებლის და პასუხისმგებელი პირების შესახებ.

დირექტორის 2019 წლის 3 იანვრის ბრძანება N 1 დამტკიცებულია კოლეჯის ერთწლიანი(2019წ) სამოქმედო გეგმა, რომელიც შედგენილია ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით და ითვალისწინებს კონკრეტულ აქტივობებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირის და განხორციელების დროის მითითებით. ერთლიან გეგმაში წლის აქტივობებია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება, სასწავლო პროცესის ადმინისტირება, ხარისხის უზრუნველყოფის მონიტორინგი-დახვეწა, პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შეძენა/განახლება, პარტნიორი ორგანიზაციების მოძიება-მემორანდუმების გაფორმება და პროფესიული სტუდენტების აქტოვობები .

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს,

დაწესებულებამ წარმოადგინა 2018 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში, რომელშიც დეტალურად არის ინფორმაცია განხორციელებული აქტივობების შესახებ, პერიოდის, პასუხისმგებელი პირების და მტკიცებულებების მითითებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2019 წლის 3 იანვრის ბრძანება N 1 დამტკიცებული კოლეჯის ერთწლიანი(2019 წ) სამოქმედო გეგმით;
- დირექტორის 2016 წლის 16 აგვისტოს ბრძანება N17 დამტკიცებული დაწესებულების 2016 -2022 წლების სტრატეგიული გეგმით;
- 2018 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სტრუქტურა, საშტატო განრიგი და თანამდებობრივი ინსტრუქცია - დებულება, თანამშრომელთა მიღება ხორციელდება დირექტორთან გასაუბრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფუძველზე, რის შემდეგაც გამოიცემა დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი თანამშრომლის დანიშვნის შესახებ და მასთან ფორმდება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. ვიზიტის დროს გადამოწმდა ადმინისტრაციის და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები, რომლებიც მოიცავს დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრულ დოკუმენტაციას. პერსონალის კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობებთან.

დაწესებულებას არ აქვს გაწერილი პერსონალისადმი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ექსპერტების მიერ მიეცათ რეკომენდაცია: გაწეროს და დაამტკიცოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები თოთოეული ადმინისტრაციული თანამდებობისათვის, რომელთან მიმართებაშიც მოხდება ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის შედარება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციებით - დებულებით;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურით და საშტატო განრიგით;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, დანიშვნის ბრძანებებით, პირადი საქმეებით;
- ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მიხედვით ჰყავს 86 აქტიური პროფესიული სტუდენტი, რომელთა სწავლების დასრულების თარიღია 2019 წლის 10 აგვისტო.

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის თანაფარდობა შემდეგ სურათს იძლევა - დაწესებულება განაცხადით ითხოვს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ 3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც განახორციელებს - 37 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამების ჩამონათვალის მიხედვით იგეგმება 100 პროფესიული სტუდენტის მიღება, შესაბამისად პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობაა 100/37.

<u>ვიზიტის დროს პროფესიულ განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:</u> პროფესიული მასწავლებლებს აქვთ ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულების შესახებ, იციან მოდულური პროგრამების განხორციელების მიდგომები, სწავლების და შეფასების მეთოდები, მათი ნაწილი მონაწილეობდა სტანდარტის შემუშავების და ჩარჩო დოკუმენტების შექმნის პროცესში. გავლილი აქვს არაერთი ტრენინგი მოდული სწავლების მიმართულებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- დანიშვნის ბრძანებებით;
- პირადი საქმეებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებით;
- გასაუბრების შედეგებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის დირექტორის დამტკიცებული შინაგანაწესის მე-8 მუხლი განსაზღვრას პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის და დანიშვნის წესს, რომლის ჩანაწერების მიხედვით: პროფესიული მასწავლებლის მიმართ დადგენილი მოთხოვნებია: განსახორციელებელი მოდულის შესაბამისი კვალიფიკაცია; ან/და ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნის არქონის შემთხვევაში, 3-წლიანი პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი; შერჩეული პროფესიული განათლების მასწავლებლის დანიშვნის თაობაზე გამოიცემა დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზე კოლეჯის დირექტორსა და პროფესიულ მასწავლებელს შორის იდება ხელშეკრულება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- დანიშვნის ბრძანებებით;
- პირადი საქმეებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებით;
- გასაუბრების შედეგებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	როფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს ოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი ტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	მებაღეობა (მოდულური)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში 0812	85	115	ქართული	ქ.თბილისი, ქვემო ელიას დასახლება, წმინდა სამების ტაძრის სამონასტრო კომპლექსი	0	ქ.თბილისი, ქვემო ელიას დასახლება, წმინდა სამების ტაძრის სამონასტრო კომპლექსი 60
2	ბაღის დიზაინი (მოდულური)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში 0812	85	115	ქართული	ქ.თბილისი, ქვემო ელიას დასახლება, წმინდა სამების ტაძრის სამონასტრო კომპლექსი	0	ქ.თბილისი, ქვემო ელიას დასახლება, წმინდა სამების ტაძრის სამონასტრო კომპლექსი 20
3	ფლორისტიკა (მოდულური)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ფლორისტიკაში 0214	53	68	ქართული	ქ.თბილისი, ქვემო ელიას დასახლება, წმინდა სამების ტაძრის სამონასტრო კომპლექსი	0	ქ.თბილისი, ქვემო ელიას დასახლება, წმინდა სამების ტაძრის სამონასტრო კომპლექსი 20

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

18/07/2019წ
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: